ვეტერანთა გადამწყვეტი სიტყვა

თბილისი. "დინამოს" სტადიონი. 17 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) – ასკ (როსტოვი) 3:1 (0:0).

"დინამო": კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჭელიძე, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, დათუნაშვილი, იამანიძე, მეტრეველი, მესხი (მაისურაძე).

ასკ: ივანოვი, გეტმანოვი, აფონინი, კაზაჩოკი, კრივობოროდოვი, შიკუნოვი, კუჩინსკასი, ჩერტკოვი, კოპაევი (ბუროვი), ესკოვი, მატვეევი.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონატში თბილისის "დინამო" პირველად გამოვიდა თავისი ნამდვილი საბრძოლო შემადგენლობით. ასეთივე ძირითადი გუნდით იბრძოდა როსტოვის არმიელთა გუნდიც, მაგრამ თბილისელთათვის ძირითად შემადგენლობას გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სტუმრებისთვის: ჩვენი გუნდი კარგა ხანია კრიზისის პერიოდს განიცდის, როსტოველებმა კი თავიდანვე უკეთ შეავსეს დანაკლისი და ლიდერთა შორის დაიმკვიდრეს ადგილი.

პირდაპირ უნდა ითქვას: ვეტერანთა ძალა პირველივე წუთებიდან იგრძნობოდა. თბილისის "დინამო", რომელიც გუშინ ძირითადად "1964 წლის ნიმუშით" იყო წარმოდგენილი, გაცილებით უკეთ თამაშობდა, ვიდრე წინა მატჩებში.

როსტოველებს მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში თავიანთ საჯარიმო მოედანზე მოუხდათ ბრძოლა და ეტყობა, გუნდი ადრევე იყო საამისოდ მზად. დინამოელთა პირველივე იერიშების შემდეგ მათ სასწრაფოდ გააძლიერეს დაცვის ხაზი, რის შედეგადაც წინა ხაზზე დარჩნენ მხოლოდ კოპაევი, მატვეევი და ნაწილობრივ – ესკოვი, დანარჩენები ემსახურებოდნენ მხოლოდ დაცვით ამოცანებს. თბილისელები უტევდნენ თითქმის განუწყვეტლივ, ფლანგებზე, ცენტრშიც, მაგრამ 45 წუთმა მათ ვერაფერი მოუტანა – 0:0.

მეორე ტაიმში თამაში ათიოდე წუთის განმავლობაში ისევე მიმდინარეობდა და გზა კარის ასაღებად თითქოს არ ჩანდა, მაგრამ მე-10 წუთზე "დინამოს" თავდამსხმელებმა ადგილების ცვლით გაითამაშეს კომბინაცია, რაც ძლიერი დარტყმით დაამთავრა დათუნაშვილმა. ივანოვმა ვერ შეაჩერა ხელში ბურთი და იმანამიძემ ახლოდან გახსნა ანგარიში – 1:0.

როსტოველები განაგრძობდნენ პოზიციურ თამაშს და თავიანთი მცირერიცხოვანი კონტრიერიშების იმედით იყვნენ, მაგრამ როცა იამანიძემ მე-14 წუთზე შორი მანძილიდან ზუსტი დარტყმით მეორედ აიღო მოწინააღმდეგის კარი (კომბინაცია გ. სიჭინავა-მაისურაძე-იამანიძე), მათ სასწრაფოდ შეცვალეს ტაქტიკა. 0:2, ეს უკვე დამარცხებას ნიშნავდა, ამიტომ წინა ხაზზე გადმოვიდა კუჩინსკასი. გააქტიურდა შიკუნოვი. თამაშის სიმძიმე დააწვა მასპინძელთა დაცვას და მეკარეს. უნდა ითქვას, თბილისელები ორგანიზებულად შეხვდნენ ამ შტურმს.

28-ე წუთზე არმიელები იერიშზე იმყოფებოდნენ. დაცვიდან მიღებული ბურთი ილიადიმ ზუსტად გადააწოდა მაისურაძეს, ამ უკანასკნელმა კარგად გამოიანგარიშა მომენტი და როცა მეკარე ივანოვი მის შესახვედრად გამოდიოდა კარიდან, მშვიდად გადაუგდო მას თავს ზემოთ ბურთი – 3:0.

ეს უკვე გამარჯვება იყო. მართალია, როსტოველებმა მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა (ბუროვი), ისეთ სიტუაციაში, როცა მსაჯები კარგად ვერ გაერკვნენ ურთიერთ სიგნალიზაციაში. შეიძლება გავიმეოროთ, რომ თბილისის "დინამომ" მატჩი კარგად ჩაატარა ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ.

რ. ქორიძე.

"ლელო", 18 აგვისტო, 1966 წ.